# ხელშეკრულება №172
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 6 აგვისტო 2018 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის - გრიგოლ იოსელიანის სახით და მეორე მხრივ შპს „სემესო“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის სოფიო მჭედლიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 2008 წლის 8 აგვისტოს ომისადმი მიძღვნილი ღონისძიებისათვის ყვავილების კომპოზიციისა და თაიგულის შეძენა (დანართის შესაბამისად).

2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV03121200.

### 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

### 4. მიღება-ჩაბარება, ანგარიშსწორების ფორმა

4.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტზე "შემსყიდველის" მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მახარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ მისი ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

### 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2018 წლის 8 აგვისტოს** ჩათვლით.

### 6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

### 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **20%**-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **10%**-ის ოდენობით.

7.3. საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02%**-ის ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

7.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | შპს „სემესო“ |
| მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25 | მის: ქ.ქუთაისი, გ. ტაბიძის ქუჩა №10 |
| სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში | ს/ს „თიბისი ბანკი“ |
| ხაზინის კოდი: TRESGE22 | ბ/კოდი: TBGBGE22 |
| ა/ა №GE24NB0330100200165022 | ა/ა №GE69TB7882936080100006 |
| ს/კოდი: 221274546 | ს/კოდი: 400204890 |
| მუნიციპალიტეტის მერი | დირექტორი |
| გრიგოლ იოსელიანი | სოფიო მჭედლიშვილი |
| ბ.ა. | ბ.ა. |

დანართი

| № | დასახელება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება(ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ყვავილების კომპოზიცია | 2 | 40 | 80 |
| 2 | ყვავილების თაიგული | 1 | 20 | 20 |
| ჯამი: | | | | 100 |

შპს „სემესო“

დირექტორი: სოფიო მჭედლიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელმომწერი პირ(ებ)ი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „სემესო“-ს შორის 2018 წლის 6 აგვისტოს გაფორმებული №172 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უფლებამოსილი პირები: _____ რიმა მარგიანი

_____ ლია გუგუსიანი

_____ მაია ჯანელიძე

_____ ლია გიორგობიანი